ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსელიძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ზეინაბ კახაძე

მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში (აჭარის რეგიონის მაგალითზე)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინინისტრირება-ფინანსები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლაშა ბერიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

ხიჭაური 2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთ მნიშვნელოვავან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებისთვის, იგი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, დიდი რაოდენობით „შთანთქავს“ დაუსაქმებელ მუშახელს, ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, ამცირებს სიღარიბეს, ქმნის გარემოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისთვის, არის სტიმული მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, იგი მოსახლეობის კეთილდღეობის გარანტია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს, იგი ძირითადად დაბალ და საშუალო ფენაზეა ორიენტირებული. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებისა და მისი შემაფერხებელი მიზეზების დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნისა და რეგიონების განვითარებისთვის სწორედ ამ მიზნით ჩატარდა კვლევა. ჩატარებული კვლევის მონაცემების შეჯამების საფუძველზე მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მომზადდა პრაქტიკული და თეორიული სახის რეკომენდაციები.

A N N O T A T I O N

Small end Medium Business Problems edn Prospects in Georgia (on the example of Adjara region)

Small end medium Business is one of the most important faqtors for the development of the country end economy, it provides job creation, a large amount of “absorbs” unemployed workers, promotes gross domestic product growth, reduces poverty, creates environmental end political stability, stimulates high mountainous Rerions living for the population, the development of small end medium-sized businesses create more jobs, it is mostly Low end middle class is centered.

One of the most important factor in determining small end medium business problems and its hindrences is the stady of the country and regions for this purpose.

Practical end theoretical recommendations were prepared to increase officiency of small end medium businesses based on the survey data. Zeinab kakhadze

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი----------4

1- **მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის-------6**

1.1 -ბიზნესი როგორც ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი----------6

1.2 - ბიზნესის რეგულირების საფუძვლები და მისი კლასიფიკაცია----------11

1.3 - მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა საზღვარგარეთის ქვეყნებში-15

2 -მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში----------25

2.1-მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკა----------25

2.2- ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმები----------33

3- მცირე და საშუალო ბიზნესი აჭარაში---------- ------ 41

3.1-აჭარის რეგიონის სამეწარმეო პოტენციალი და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა----------41

3.3. მეწარმეობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები-- 48

დასკვნები და რეკომენდაციები----------56

გამოყენებული ლიტერატურა----------58

შესავალი

თემის აქტიალობა. თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც გლობალიზაციას უფრო მეტად განიცდის, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობა და მისი განვითარება. მცირე და საშუალო ბიზნესი თანამედროვე ეტაპზე გვევლინება ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სფეროდ ეკონომიკის სტიმულირებისათვის, ბიზნესის მხარდაჭერა და მისი სრულყოფა უნდა იყოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი,რადგან სწორედ ბიზნესის განვითარების შედეგად ვითარდება ქვეყანა როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური კუთხით.

კვლევის მიზანი და ამოცანები. მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისათვის, იგი ხელს უწყობს არა მარტო ეკონომიკურ წინსვლას არამედ ვითარდება საზოგადოება. აქედან გამომდინარე ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია რა მეთოდებსა და მიდგომებს იყენებს სახელმწიფო აჭარის რეგიონის განვითარებისათვის და რამდენად მიზანმიმართულად არის გადანაწილებული ხელშეწყობის პროგრამმები?

კვლევის საგანი. კვლევის საგანს წარმოადგენს აჭარის რეგიონში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესი, ძირითადი პრობლემები, გადაჭრის გზები, მოსახლეობის დამოკიდებულება არსებული პროგრამებისა და შეღავათების მიმართ.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. კვლევის შედგენისას გამოყენებულ იქნა სტატისტიკური, დაკვირვების ანალიზისა და შედარების მეთოდები. კვლევაში გამოყენებულ იქნა შემდეგი სახის საინფორმაციული წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი, საქართველოს ფინანსთა სამინისთროს ვებ გვერდი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისთროს ინფორმაცია, საქართველოს განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლები, საქართველოს საკანონმდებლო დებულებები მთის კანონის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებები,

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში მოღვაწე მეცნიერთა ნაშრომები და რეკომენდაციები.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია ზოგადი სახის ინფორმაცია მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ, მისი მნიშვნელობა ეკინომიკისათვის, ცნობილ მეცნიერთა შეხედულებები ბიზნესის შესახებ, ბიზნესის რეგულირების საფუზვლები და კლასიფიკაცია კრიტერიუმების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნებში,განხილულია ევროკავშირის ქვეყნების მაგალითი და აშშ, შედარებულია მათი რეგულირების და ხელშეწყობის მეთოდები. მეორე თავში განხილულ იქნა უშუალოდ საქართველოში არსებული მდგომარეობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკა საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, ის ძირითადი მიმართულებები რაც დაინერგა ბიზნესის კეთების სიმარტივის მიზნით, მოცემულია ხელშეწყობის პროგრამები და მათი გამოყენების შესაძლებლობები. ნაშრომის მესამე თავი დაეთმო უშუალოდ კვლევის პროცესს, კერძოდ განხორციელდა აჭარის რეგიონში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის, მისი ხელშეწყობის პროგრამების ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების შესაძლებლობების კვლევა, განსაზღვრულ იქნა მოსახლეობის დამოკიდებულება მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს შესახებ, ასევე გადმოცემულიქნა ის ძირითადი პრობლემები რომელიც აწუხებს მოსახლეობის უმეტესობას. დასკვნით ნაწილში გადმოცემულია კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და რეკომენდაციები, ყველა ის საკითხი, რომელიც გამოიკვეთა კვლევისას აღინიშნა მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა რეგიონის განვითარებისათვის დაიწერა რეკმენდაციები, რომლებიც საშუალებას იძლევა აჭარის სამეწარმეო სურათის აღწერისათვის.

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკისათვის

1.1. ბიზნესი, როგორც ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი

სიტყვა „ბიზნესის“ განმარტება „მეწარმეობის“ იდენტურია. ეს არის ინიციატივიანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრების გაწევით ხორციელდება, მთავარი მიზნის, მოგების მისაღებად.

პროფესორ ო. ქეშელაშვილის მიხედვით „ბიზნესი არის ცოდნისა და კომერციული საქმიანობის კონკრეტული საქმიანობის მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია პიროვნების მიერ საქონლის გამოშვებაზე, რომელსაც აქვს მომხმარებლისათვის სასარგებლო თვისებები, აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და ეს ყველაფერი მოგების მიღებას უკავშირდება.“[1]

პროფესორ ი. მესხიას მიხედვით „ბიზნესი არის დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატურ მიღებაზე ქონების გამოყენების საქონლის გაყიდვის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის გზით, იმ პირების მიერ, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან დადგენილი წესის თანახმად.[2]

პროფესორები გ. ადეიშვილი და რ. ასათიანი მიიჩნევენ, რომ მეწარმეობა ცალკეული სუბიექტის ან სუბიექტთა ჯგუფის დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომლის მიზანია მატერიალური დოვლათის, ინტელექტის, ფასიანი მომსახურების წარმოება და რეალიზაცია და ამით მოგების მიღება.[3]

აღსანიშნავია მცირე ბიზნესი, რომელზეც მოდის კერძო საქტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის ნახევარი და ახალი სამუშაო ადგილების 2/3-დან 3/4მ-მდე ქმნის მცირე ბიზნესი.

ტერმინი „მცირე მეწარმეობა“ უკვე ფართოდ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მეწარმეობის ქვეშ იგულისხმება ბიზნესის ფორმა, რომელიც

---

[1] ქეშელაშვილი ო., ბიზნესის ძირითადი პრობლემები, მოტივაციები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. საქართველო . ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ, 1997 . გვ. 201

[2] მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები. თსუ, 2011. გვ. 21.

[3] ადეიშვილი გ, ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ., 1998 გვ. 132

გვევლინება ეკონომიკურად განკერძოებულ სუბიექტთა სახით წარმოდგენილ საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურაწარმოქმნილ ფაქტორად, რომელიც აყალიბებს სტრუქტურას წარმოებასა და გაყიდვების მოცულობას, საქონლისა და მომსახურებაზე სამომხმარებლო მოთხოვნის ზემოქმედებით, რომლის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს მოგების, როგორც გაწეული რისკისთვის ჯილდოს მიღება.

კაცობრიობის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკის განვითარების სამი პერიოდი:

1. „ბაზრამდე პერიოდი“ - ტრადიციულად ინსტიქტური ურთიერთობა, როდესაც არ არსებობდა საბაზრო ურთიერთობები ადამიანები ჯგუფურად მოიპოვებდნენ მოხმარების საგნებს და ერთმანეთს უნაწილებდნენ.

2. „საბაზრო პერიოდი“- როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და საფუძველი ჩაეყარა საქონლის წარმოებას და ყიდვა-გაყიდვას.

3. „არასაბაზრო პერიოდი“- დირექტიული ურთიერთობა, როდესაც არსებობს სახელმწიფო საკუთრება და შექმნილი დოვლათის განაწილება ადამიანებს შორის ხდება სახელმწიფოს მიერ.

ამდენად ბიზნესი მიჩნეულია ისეთ მოვლენად, რომელიც მკვეთრად არის დამახასიათებელი საბაზრო ეკონომიკისათვის. ბიზნესი იწყება პირველყოფილი თემური წყობილობიდან და თანდათან ჰპოვებს განვითარებას.

კაცორიობის ისტორია წარმოუდგენელია წარმოებისა და მომსახურების გარეშე. ბიზნესი საზოგადოების არსებობის საფუძველია.

საყოველთაოდ აღიარებულია რომ ბიზნესი უზრუნველყოს საზოგადოებას კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ბინით, სამედიცინო მომსახურებით, ტრანსპორტით, ასევე საქონლითა და მომსახურებით ამით თითოეული ჩვეული ჩვენგანის ცხოვრება უმჯობესდება.

მცირე საწარმოს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდი რაოდენობით „შთანთქოს“ დაუსაქმბელი მუშახელი, რომელიც გამოთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან.

ჯეფ მადურას აზრით ბიზნესი არის საქონლითა და მომსახურებით სხვათა უზრუნველყოფითა და მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა. მისი აზრით „მეწარმეობა მოიცავს ბიზნეს იდეების ფორმირებას და რისკის აღების სურვილს. მეწარმეები არიან ადამიანები, რომლებიც მოიპოვებენ ახალ, უფრო ეფექტიან საშუალებებს სამი ეკონომიკური რესურსის (მიწა, შრომა და კაპიტალი) გამოსაყენებლად.[4]

ი. შუმპეტერის მიხედვით მეწარმის საქმიანობაში სამი ძირითადი მიზნობრივი მოტივი გამოიყოფა:

1. ბატონობისადმი (ზეგავლენისადმი) სწრაფვა;

2. წარმათების მიღწევის სურვილი, როგორც საკუთარ თავთან, ისე მეტოქეებთან ბრძოლაში;

3. შემოქმედებითი საქმიანობით გამოწვეული სიხარული[5]

თავისუფალი მეწარმეობის სტიმულირების კონცეფცია ჩამოაყალიბა ცნობილმა ავსტრიელმა ეკონომისტმა, ფ. ჰაიეკმა (1899-1992) მისი აზრით მეწარმეობა არის არა მიღწევების სახე, არამედ ძიება და შესწავლა ახალი ეკონომიკური შესაძლწებლობებისა და მოქმედების ხასიათისა.

მცირე და საშუალო საწარმოები არიან მოქნილები და სწრაფად ეგუებიან ბაზრის ახალ კონიუნქტურას.განარჩევენ ბიზნესის კონცეფციის სამ მიმართულებას: პოზიტიური, კრიტიკული და პრაგმატული.

პოზიტიური - ბიზნესი გაგებულია, როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელსაც ეწევიან ადამიანები თავიანთი ინიციატივით და რომლის მიზანია საქონლისა და მომსახურების წარმოება სხვა ადამიანებისთვის. მისთვის დამახასიათებელია ისეთი გარემოებები როგორიცაა: სწრაფვა საყოველთაო

---

[4] Madura J., Introduction To Business. Fourth Edition, 2007 გვ.20

[5] Шумпетер Й. А. Теория экономического развития: исследование предпринимательской прибыли, капитала, кредита, процента и цикла конъюнктуры. М.: Прогресс, 1982 გვ 12

სიკეთისა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის; საყოველთაო ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ეკონომიკისთვის საფუძვლების შექმნა.

კრიტიკული - კონცეფციის მთავარი ამოსავალი იდეოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ საბაზრო სუბიექტების ურტიერთობებს გააჩნიათ ერთნაირი მიმართულება, რაც ნიშნავს ადამიანების ერთი ჯგუფის გამდიდრებას სხვების ხარჯზე, მისი დებულების თანახმად ბიზნესი დამახასიათებელია მხოლოდ ეკონომიკისთვის.

ნეგატიური - კონცეფცია მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის რწმენისა და პატიოსნებას მის ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა მარქსისტულმა მოძრაობამ.

პრაგმატული - კონცეფციის თნახმად ბიზნესი არის საზოგადოებისათვის აუცილებელი ეკონომიკის განვითარებისათვის გარდაუვალი მოვლენა. საქართველოს კანონმდებლობით არ განისაზღვრება „ბიზნესის“ ცნება ხოლო „მეწარმეობას'' განმარტავს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.“

თანამედროვე პირობებში რწმენისა და ბიზნესის სინთეზი აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლებისთვის.

მცდარადაა მიჩნეული მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია აქტიურად ჩაება ეკონომიკურ საქმიანობაში და დაიცვა ბიბლიური მცნებები ძირითადი მართლმადიდებლური ფასეულობები. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია, თუმცა ეს იქნება დიდი ძალისხმევის, სულიერი ზრდის, მოთმინებისა და ღვთის სიყვარულის შედეგი. და თუკი ეკონომიკური ურთიერთობები კაცობრიობის უდიდესი გამოგონებაა, ყოველი გამოგონება შესაძლებელია ღვთის სამსახურში ჩააყენო და ადამიანის სასიკეთოდ მიმართო.

დღეს საკამათო არ არის მცირე მეწარმეობის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, არის დასაქმების მნიშვნელოვანი სფერო, რითაც ხელს უწყობს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, ზრდის ეკონომიკურ და პლიტიკურ სტაბილურობას, ამცირებს

სიღარიბეს და არის პრობლემების გადაჭრის ქმედითი ინსტიტუტი. საქმიან ურთიერთობაში მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს ასრულებს.[6]

ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებით და განუყოფელ ნაწილია. „ბიზნესი“ და „ეკონომიკა“ ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. თუმცა მკვლევარების მოსაზრებით „ბიზნესსა“ და „ეკონომიკას“ შორის არის საფუძვლიანი განსხვავება.

„ეკონომიკა“ უფრო ფართო ცნებაა ვიდრე „ბიზნესი“. ის მოიცავს მიკრო, მაკრო, მეზო, მეგა ეკონომიკურ დონეებს, მოთხოვნა-მიწოდების მიკროეკონომიკურ, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მაკროეკონომიკურ კონცეფციებს. „ბიზნესი“ არის ეკონომიკურ ურთიერთობათა უფრო კონკრეტული ფორმა, რომელიც ვითარდება განსაზღრულ სუბიექტებს შორის, ინდივიდუალური და ჯგუფური კონკურენციის საფუძველზე. ბიზნესი ადამიანის საქმიანობის ფართო სფეროს მოიცავს. ის გულისხმობს ეკონომიკის ყველა სუბიექტს შორის ურთიერთობებს არა მარტო მეწარმეებს არამედ მომხმარებლებსაც, დაქირავებულ მუშაკებს, სახელმწიფო სტრუქტურებს. ბიზნესი მოიცავს როგორც სახელმწიფო ბიზნესს ისე სამომხმარებლო ბიზნესს და ბიზნესის სხვა სახეობებს.

განვითარებული ქვეყნების მონაცემები მოწმობს, რომ მცირე ბიზნესში იწარმოება ამ ქვეყნების მშპ-ს ნახევარზე მეტი. საკმარისია აღინიშნოს რომ ამჟამად აშშ-სა და გერმანიაში მცირე ბიზნესის სფეროში იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტის 50-52%, იაპონიაში-52-54%, საფრანგეთში-56-62% დიდ ბრიტანეთში-50-53%, იტალიაში-57-60%, ევროკავშირის ქვეყნებში-63-67%. ამ სექტორში მზადდება და რეალიზდება დიდი მოცულობის როგორც სამეწარმეო დანიშნულების ისე ფართო მოსახურების მრაველფერონი პროდუქცია, სრულდება სვადასხვაგვარი სახეობის მოსახურეურებისთან დაკავშირებული სამუშაოები.[7]

---

[6] კობერიძე ბ. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები , თბილისი 2015

[7] ლეილა ცეცხლაძე მცირე ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის სტრატეგია თანამედროვე მართვის სისტემაში ბათუმი 2012

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო ბიზნესს და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყბს მცირე და საშუალო მეწარმობის ზრდას და განვითარებას. კერძო სექტორის განვითარების, და განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში- საქართველო 2020 აგრეთვე სამთავრობო პროგრამები. „ძლიერი ეკონომიკური ერთიანი საქართველოსთვის“.[8]

მცირე და საშუალო მეწარმობის განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) აქტიური თანამშრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერით.

1.2. ბიზნესის რეგულირების საფუძვლები და მისი კლასიფიკაცია

მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არის მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრის ერთნაირი სტანდარტი. ერთადერთი რაზეც ყველა მკლევარი თანხმდება ესაა მცირე საწარმოების წარმოების სიმყიფე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არასრულყოფა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

ამერიკელი სპეციალისტების ჯ. სტორენისა და ე. დოლნის მიხედვით მცირე ბიზნესს მიეკუთვნება საწარმო, რომელიც პასუხობს ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებებიდან ორს მაინც:

1. დამოუკიდებელი მართვა;
2. საკუთარი კაპიტალი;
3. მოქმედების ლიკვიდური რაიონი;
4. შედარებით მცირე ზომა დარგების მიხედვით

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც განვითარებული ქვეყნები შედიან 19 კაცამდე დასაქმებულ

[8] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლები.

საწარმოს განსაზღვრავს როგორც „საკმაოდ მცირეს“ 99 კაცამდე როგორც „მცირეს“ ხოლო 100-დან 499-მდე კაცამდე როგორც „მსხვილს“. მსოფლიოს მასშტაბით საწარმოს „მცირე საწარმოდ“ მიკუთვნებისათვის ყველაზე ხშირად შემდეგ კრიტერიუმებს იყენებენ:

1. პერსონალის რაოდენობა;
2. ბრუნვის მოცულობა;
3. აქტივების სიდიდე;
4. საწესდებო კაპიტალის სიდიდე;
5. საკუთრების სტრუქტურა;

არსებობს საწარმოს სიდიდის განსაზღვრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომები. ორივე მიდგომა ემყარება სუბიექტურ მსჯელობასა და გამოცდილებას.

ვან ჰორნმა მცირე ფირმებისათვის დამახასიათებელი 5 ნიშანი გამოყო:

1. წარმოებული პროდუქციის შედარებით მცირე რიცხვი.
2. შედარებით შეზღუდული რესურსები და სიმძლავრეები.
3. მენეჯმენტის უსისტემობა სასწავლო და სატრენინგო პროამების მიმართ არაფორმალური დამოკიდებულება.
4. ხემძღბანელი თანამდებობები აქციათა საკონტრელო პაკეტი დამაარსებლის ან მისი ნათესავების ხელშია.
5. გაცილებით ნაკლებადაა განვითარებული მართვის ადმინისტრაციული პროცედურებისა და ტექნოლოგიების სისტემები.[9]

ვან ჰორნის შეხედულებით ფირმები სადაც პერსონალის რიცხოვნება 50-დან 500 კაცამდეა და ბრუნვა 1-33 მლნ. ფუნტის ფარგლებშია უნდა ჩავთვალოთ მცირე საწარმოდ.

პროფესორმა ა. შელუსმა კვლევაში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ჩამოაყალიბა კრიტერიუმის რამდენიმე ჯგუფი:

1. საწარმოო პროცესის ხასიათით;

[9] ჯეიმს ს. ვან ჰორნი. „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“ საქართველოს მაცნე, 2013 (72,გვ. 54)

2. მართვის სისტემის სპეციფიკით;
3. ცალკეული შიდა ფაქტორების მდგომარეობით;
4. გარე ურთიერთქმედებათა განსაკუთრებულობით;

მცირე საწარმოების განსაზღვრის ხარისხობრივი კრიტერიუმების სისტემები პირველ რიგში, თეორიული კვლევისთვის გამოიყენება. პრაქტიკაში ასევე გამოიყენება რაოდენობრივი და ხარისობრივი მიდგომების გაერთიანებით მიღებული კომბინირებული სისტემა.

კომბინირებული სისტემის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მცირე ფირმის განსაზღვრა წარმოდგენილი ბოლტონის (ინგლისი) კომიტეტის მოხსენებაში 1971 წ. ბიზნესის კრიტერიუმები და განსაზღვრებები წარმოდგენილია გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ.

მცირე ბიზნესის კრიტერიუმები: ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა, აქციების ოდენობა და სხვა პარამეტრები.

ზოგიერთ ქვეყანაში მაგალითად (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი) მცირე საწარმოთა დაბეგვრისას გამოიყენება კორპორაციათა შემოსავალზე გადასახადების შემცირებული განაკვეთები.

ბიზნესის სახეები. სამეწარმეო ბიზნესი - არის ისეთი ბიზნესი, რომლის საფუძველს წარმოადგენს წარმოება, როგორც მატერიალური ასევვე ინტელექტუალური, სულიერი წარმოების ჩათვლით. სამეწარმეო ბიზნესი განეკკუთვნება ყველაზე რთულ, სერიოზულ, საზოგადოებრივად აუცილებელ და ამავე დროს ბიზნესის ძნელ სახეობას. ბევრი ადამიანის წარმოდგენით, ბიზნესი ასოცირდება ვაჭრობასთან და არა წარმოებათან, რაც დიდი შეცდომაა. ბიზნესი ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია წარმოებათან. რომ არ იყოს საწარმოო ბიზნესი, სავაჭრო ბიზნესი დაკარგავდა მატერიალურ, ნივთობრივ საფუძველს და იქნებოდა მხოლოდ იმპორტული საქონლით ვაჭრობა.[10]

სამეწარმეო ბიზნესი ყველაზე მეტად დაკავშირებულია საწარმოს შექმნის

[10] შუბლაძე გ. ნანიტაშვილი მ. ბიზნესის საფუძვლები, გამომცემლობა "უნივერსალი" თბილისი 2011, გვ. 110-117

იურიდიულად გაფორმების აუცილებლობასთან. ამისთვის საჭიროა მიწის ნაკვე ნაკვეთების, ფართობის ყველა იმ ფაქტორისა და რესურსის არსებობა, რომელზეც იყო საუბარი საწარმოო ბიზნესის საქმის განხილვისას. ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო ბიზნესი არ არის მარტო საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან სამომხმარებლო საქონლის გამომუშავება. ფართო გაგებით საწარმოო ბიზნესი არის ნებისმიერი სასარგებლო პროდუქტის შექმნა, რომელიც აუცილებელია მომხმარებლისათვის და შეიძლება გაიყიდოს განსაზღრული ფასით ან გაიცვალოს სხვა საქონელზე.

სავაჭრო ბიზნესი - სავაჭრო ბიზნესს უწოდებენ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან, საქოლგაცვლით, სასაქონლო-ფულად ოპერაციებთან. კომერცია სიტყვის ვიწრო გაგებით ვაჭრობაა, ხოლო კომერსანტი ვაჭარი, ადამიანი რომელიც ვაჭრობს, მაგრამ რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენთან ვაჭრობა პრაქტიკულად იყო სახელმწიფოებრივი კომერსანტებს უწოდებდნენ კერძო ან იატაკქვეშა მოვაჭრეებს და კომერციას აიგივებდნენ სპეკულაციასთან.

სავაჭრო ბიზნესი მოიცავს ნებისმიერი სახისა და ტიპის საქონლის მოძიებას, შესყიდვას, ტრანსპორტირებას, მიტანას სავაჭრო წერტილში, გაყიდვას და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას სავაჭრო ბიზნესი, როგორც ბიზნესის სახეობა გულისხმობს, საქონლის უფრო მეტი ფასით გაყიდვის შესაძლებლობას შესყიდვის ფასთან შადარებით და ამ გზით მოგების მიღებას. ოფიციალური სავაჭრო ბიზნესის კერებია მაღაზიები, ბაზრები, ბირჟები, აუქციონები, ფარდუბი, ფარდულები. საფინანსო ბიზნესი-გამოიყოფა ბიზნესის დამოუკიდებელ სახედ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ფრიად სპეციფიკური საქონელია ფული, უცხოური ვალუტა, ფასიანი ქაღალდები, საფინანსო ბიზნესში მთავარია ოპერაციათა გაცილებით ფართო წრე, რომელიც მოიცავს ფულის, ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სხვა სახეების გაყიდვასა და გაცვლის ყველა მრავალფეროვნებას ფულზე, უცხოურ ვალუტაზე, ფასიან ქაღალდებზე. საკრედიტო ფასიან ბიზნესს შეუძლია

მოუტანოს მოგება მოქალაქეს, არანაკლები ოდენობით, ვიდრე სავაჭრო ბიზნესს, მაგრამ ბიზნესის მოცემული სახეობა უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ბიზნესმენებს, ფულადი სახსრების გამყიდველებსა და მყიდველებს. საფინანსო ბიზნესის გამოცდილება საქართველოში ცხადყოფს მის მონაწილეთა მაღალ რისკს, ვინაიდან ჯერ კიდევ ჩვენი მოქალაქეებისთვის ეს ბიზნესი ახალი და არაჩვეულებრივია.

სადაზღვევო ბიზნესი- ბიზნესთან უშუალო დამოკიდებულება აქვს ისეთ ფორმებს, როგორიცაა ქონების დაზღვევა, სიცოცხლის საზღვევა, ბიზნესს საქმე აქვს მსგავსუი დაზღვევის მხოლოდ ნებაყოფლობით ფორმებთან. საქართველოში არსებობს სადაზღვევო ბაზარი, რომელზეც ყიდვა-გაყიდვის საგანია, განსაკუთრებული მომსახურება სადაზღვევო დაცვის სახით.

ყველაზე ცნობილია დაზღვევის სამი სახე: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ქონების, პასუხისხმგებლობის დაზღვევა. სიცოცხლის დაკარგვის ხელშეკრულებაში შეთანხმებული თანხა ეძლევა დაზღვეულის მემკვიდრეს. პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნებაში გაიგება დავალიანების დაზღვევა, ე.ი. მოვალეობის პასუხისმგებლობა.

1.3. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა საზღვარგარეთის ქვეყნებში (ევროკავშირი)

მცირე ბიზნესის ევროპული მოდელისათვის დამახასიათებელია ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ტრადიციები, ასევე შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი მოდერნიზებული საამქრო ტრადიციები. „მცირე და საშუალო საწარმოების ევროპული მიმოხილვის“ თანახმად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არასასოფლო-სამეურნეო დარგთა კერძო სექტორის 16,4 მლნ. საწარმდან 99,9% -ს წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოები. მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში სამუშაო ადგილების 70%-ს. მიკრო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა არის 9 ხოლო საწარმოთა რაოდენობა 14,5 მლნ-ს აღემაება, მცირე საწარმო 12მლნ-ს შეადგენს, საშუალო საწარმოები-70000-ს მსხვილი კი 12000-ს შეადგეს.

ევროკავშირში ერთ საშუალო სტატისტიკურ საწარმოზე მოდის 6 დასაქმებული, ერთ მცირე და საშუალო საწარმოზე 4-5 კაცი. მაგალითად, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში მცირე ფირმები ემსახურებიან მსხვილ კომპანიებს. ასევე გერმანიაში მცირე საოჯახო ბიზნესი ხშირად ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების ევროპულ მწარმოებლად გვევლინება. გერმანული საოჯახო ფირმები მკაცრად იცავენ ტრადიციებს და გადასცემენ თაობებს. დიდ ბრიტანეთში მსგავსი ტენდენციები ასეთი ძლიერი არ არის. აქ საოჯახო ბიზნესი გვევლინება როგორც „სპონსორი“ და ეხმარება ოჯახის უმცროს წევრებს განათლებისა და კვალიფიკაციის მიღებაში. გერმანიაში საოჯახო საწარმოს უფროსი უპირატესობას ანიჭებს ბიზნესის ინტერესებს. დიდ ბრიტანეთში საოჯახო ინტერესები ერთგვარად გადაჯაჭვულია სამეწარმეოსთან და ხშირად ფირმა განიცდის კრახს.

მცირე ბიზნესის კონტინენტალური მოდელის კიდევ ერთ თავისებურებას განეკუთვნება დაქირავებული პერსონალის მუშაობის პირობები, რომელიც თითქმის არ ჩამოუარდება მსხვილი კორპორაციის პირობებს, მაგ. თუ იაპონიაში 100 კაცამდე სიდიდის ფირმაში მომუშავე თანამშრომელი იღებს მსხვილ კორპორაციაში მომუშავე თანამშრომლის შრომის ანაზღაურების 77%-ს აშშ-ში ეს მაჩვენებელი 57%-ის, გერმანიაში კი 90%-ის ტოლია . საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, ნიდერლანდები, და სხვა ევროპის ქვეყნები დომინირებენ ტურიზმის, მაღალი მოდის ფუფუნების საგნების და უნიკალური სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განვითარებით. საერთო ტენდენციებს მიუხედავად, მოთხოვნის სტრუქტურა ევროპასა და აშშ-ში ერთმანეთისაგან მაინც არსებითად განსხვავებულია. თუ აშშ-ში აქცენტი უმრავლეს შემთხვევაში კეთდება ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და რეალიზაციაზე მაშინ ევროპაში ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში შედიან „ლორეალი“-ს „ჰერმესი“-ს მფლობელები, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკის სექტორს, რომელშიც იქმნება უნიკალური საქონელი და მომსახურება.

საკუთარი კლიენტის საუკეთესოდ ცოდნის შედეგად მცირე საწარმოები იღებენ დამატებით კონკურენტულ უპირატესობას რაც საშუალებას აძლევს მათ უფრო

ეფექტურად გაუწიონ კონკურენცია აზიურ და ამერიკულ საქონელს, ვიდრე მსხვილმა კომპანიებმა. ხარისხზე ორიენტაცია, რომელიც ხელსაყრელად გამოარჩევს ევროპულ მცირე ბიზნესს, გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეებიც. ხარისხი ტრადიციული გაგებით ითვალისწინებს ორიენტაციას გარკვეულ სტანდარტზე, იდეალზე, რაღაცა შეუცვლელზე. თანამედროვე გაგებით „ხარისხი განისაზღვრება მყიდველთა მოთხოვნილებით და მხოლოდ მათ მიერ.“ ევროპიში მცირე ბიზნესი ინარჩუნებს საკუთარ ნიშას ცალკეული სახის პროდუქტების წარმოებაში, მაგრამ ხარისხის ტექნოლოგიურ გაგებაზე აქცენტის გაკეთება, რომელიც დამახასიათებელია ევროპული მწარმოებლებისთვის ე.წ. „ტროას ცხენის“ როლს თამაშობს მომხმარბლებთან ურთიერთობაში, იგი არა მარტო ხელს უშლის ინოვაციების განხორციელებას და წარმოების გაფართოებას, ასევე გზას უკეტავს ახალ ფირმებს, რომელთაც არა აქვთ მკაცრი სტანდარტების შესატყვისი პროდუქციის წარმოების დაწყების სათანადო გამოცდილება.

ცნობილი ფილოსოფოსის ბ. გროირის სიტყვებით „...ახალი წარმოება უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს თანამედროვე კულტურის ეკონომიკურ მოთხოვნილებას, რომელიც აჯილდოებს მხოლოდ ტაბუს დარღვევას, პროტესტს, კრიტიკას, ესთეტიკურ ინოვაციას.[11]

თუ შევადარებთ აშშ-სა და ევროპას 21-ე საუკუნის 1 ათწლეულში დავინახავთ რომ აშშ-ში უმუშევრობის დონე 5%-ს ქვემოთ დაეცა , ხოლო მშპ-ს ზრდის ტემპმა 4%-ს გადააჭარბა. ევროპაში კი უმუშევრობამ 10%-ს გადააჭარბა, ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 1,5%. გასული საუკუნის ბოლო 25 წლის განმავლობაში ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა ევროპაში შეადგინა 3,3% ხოლო აშშ-ში -3,1%. უმუშევრობის დონემ ევროპაში შეადგინა 3%, ხოლო აშშ-ში- 5%. საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში დეცენტრალიზაციის და რეგიონალიზაციის მიზანს წარმოადგენდა ხელისუფლების ადგილობრივი

[11] Роговский Е.А., Верпаховский Б.Э. Коммерческое качество продукции и малосерийное производство впромышленности США // США - ЭПИ. 2000. № 9. С.44-49.

ორგანოებისათვის უფლებამოსილებათა გადაცემა რაც ანიჭებდა მათ დამოუკიდებლობას ადგილებზე ეკონომიკური საკითხების მხარდაჭერაში. გერმანია უპირატესობას ანიჭებდა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის რეგიონალური პროგრამების გაფართოებას, რაც ითცალისწინებდა პირდაპირი დახმარების გაწევას მცირე ბიზნესის ტექნოლოგიური მიმართულების წარმოების შექმნისთვის.

დიდ ბრიტანეთში მცირე სექტორის წვლილის შესამჩნევი გადიდება ინოვაციური პროდუქციის წარმოებაში მოხდა სწორედ 1980-იანი წლების დასაწყისისთვის,როცა მცირე ფირმების (200 კაცამდე დასაქმებული) წილმა ინოვაციების სფეროში მიაღწია 32,1%-ს და 1964 წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 14,7% საფრანგეთში 7%-იანი ზრდა.

2000 წლის მონაცემებით მცირე საწარმოთა 30%-დან 60%-მდე ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით, დაკავებულნი იყვნენ ინოვაციური საქმიანობით საფრანგეთში იქმნებოდა 5-დან 7 ათასამდე ახალი მცირე ინოვაციური ფირმა.[12]

ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მიერ მცირე ბიზნესის მხარდაჭერა განსხვავდება ერთმანეთისგან მაგ. საფრანგეთში ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში შეიქმნა მცირე ბიზნესის სტიმულირების სერიოზული სახელმწიფო სისტემა. ახალი და მცირე საწარმო ორი წელი თავისუფლდებიან სააქციო საზოგადოების და ადგილობრივი გადასახადებისგან. უმუშევრობისთვის, რომლებმაც ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს მოქმედებს დახმარების სპეციალური სისტემა. ისინი სამი წლით თავისუფლდებიან გადასახადების გადახდისაგან და ერთი წელი არ იხდიან სავალდებულო სოციალურ შენატანებს სოცდაზღვევის ფონდებში, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გასანეიტრალებლად სახელმწიფოში შეიქმნა ფონდი 2 მლრდ ევროს მოცულობით, რომლის სახსრებიც მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირებისა და დაკრდიტებისთვის.

---

[12] Cuzin R. Etude exploratoire visanta evaluer la place de l'innovationdans la creation d'entreprise par les ingenieurs*I* Memoire pour le Diplomed'EtudeApprofondieses sciences de gestion, EM Lyon. 2000. 52.

ევროკავშირის პოლიტიკა მცირე საწარმოთა მიმართ ეფუძნება ეგრეთწოდებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიდგომებს. ვერტიკალური მიდგომა გამოიხატება იმ ღონისძიებებში, რომლებიც ორიენტირებულია უშუალოდ მცირე და საშუალო საწარმოებზე, ხოლო ჰორიზონტალური მიდგომა ეფუძნება მცირე და საშუალო საწარმოების ინტერესების დაცვას ევროკავშირის საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამეცნიერო კვლევები, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა. ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიდგომები განსაზღვრასვს თუ რის მიხედვით შეუძლით საწარმოებს აირჩიონ ევროპული ქვეყნების გსანსვავებული კანონები მეწარმეობის შესახებ და როგორ წყდება პრობლემები, როდესაც მეწარმეობის კანონები განსხვავებულია.

საწარმოების მიერ სხვადსხვა ხარჯების შემციერაბას ემსახურება ევროკავშირის მიერ გატარებული ინსტიტუციური პოლიტიკა რომელიც მოიცავს: ა) სესხების გარანტირებას და მიკროკრედიტების გაცემას ბ) რისკების დაცვას წილობრივი დაფინანსებით გ) ანვითარებს ფინანსურ ინსტრუმენტებს კონკურენციისა და ინოვაციური პროგრამების (FP7) და სხვა შეთავაზებით დ) ევროპის საინვესტიციო ფონდებისა და ბანკების გზით აფინანსებს გლობალურ პროექტებს.

ევროპის საწარმოს ქსელი თავისი ცენტრების მეშვეობით ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნწსს კონსულტაციებით, ლიცენზიების, ტექნოლოგიის გადაცემაზე მოლაპარაკებებისა და ინოვაციების სფეროში, გამოგონებების გამოყენების, საპატენტო სისტემის პრომოუშენისა და ინოვაციების სტიმულირებას.ამასთან, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება ბიზნეს ინკუბატორების და საწარმოო-კვლევითი კასტერების ფორმირებით, რომლებიც განიხილება როგორც კონკურენტუნარიანობის ინოვაციებისა და რეგიონალური განვითარბის მთავარი გამომწვევი მექანიზმი.

ევროპის მცირე ბიზნესის საქმიანობის 10 განზომილება შემდეგ კომპონენტს მოიცავს:

1. სამეწარმეო განათლება, ქალების ჩართულობის გაძლიერება სამეწარმეო საქმიანობაში. ყველა ქვეყანამ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ქალტა

სამეწარმეო ჩართულობის ხელშესაწყობად. ხელი ეწყობათ ფინანსებზე ხელმისაწვდომობით;

2. გაკოტრების რეგულირება და მეორე შანსის მიცემა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის;

3. მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის დაგეგმარების მარეგულირებელი სისტემის სრულყოფა. პრიორიტეტულ ზომებად აღიარებულია მეტი ფინანსური და სტრატეგიული ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

4. მცირე და საშუალო საწარმოების სამოქმედო გარემოს განვითარება;

5. მცირე და საშუალო დამწყები საწარმოებისთვის დახმარების უზრუნველყოფა და საჯარო შესყიდვების განვითარება;

6. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ეს ერთ-ერთი დიდი პრობლემაა თითქმის ყველა ქვეყანაში. უმეტეს ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოსათვის საჯარო ხელშეწყობა და კრედიტორების უფლებებზე ზეგავლენა საკმაოდ სუსტია. ევროკავშირი მნიშნელოვნად მიიჩნევს შემდეგი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა საბანკო სექტორში კონკურენციის გაძლიერება, კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესება კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით;

7. სტანდარტების და ტექნიკური რეგულაციების დანერგვა. ვაჭრობის განვითარებისთვის აუცილებელი ხდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სანიტარულ საკითხებში. კანონმდებლობების ჰარმინიზაცია ემსახურება ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ბაზრების ინტეგრირებას და კომპანიების ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;

8. სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური პლიტიკის დანერგვა. ამ მიზნიტ მიზანსეწონილადაა აღიარებული ტრენინგების საჭიროებაზე ინფორმაციის სისტემატურად შეგროვება რათა გაუმჯობესდეს, პოლიტიკა ოპტიმალური რესურები ჩაიდოს მცირე და საშუალო საწარმოების უნარების განვითარებაში და ხარისხის უზრუნველყოფაზე მოხდეს ორიენტირება;

9. მცირე და საშუალო საწარმოების „მწვანე ეკონომიკაში“ ჩართვა. პრობლემას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოების ეკოლოგიურად სუფთა საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა;

მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაცია. მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება ექსპორტის საკითხებში ხელს შეუწყობს მათი ბაზრის გაფართოებას. მთავრობებისა და არასამთავრობო ინსტიტუტების ექსპორტის ხელშეწყობაში სხვადასხვა აქტივობების კოორდინაცია უზრუნველყოფს მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევას, რაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპორტის ხელშემწყობი პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას.

გერმანიის სამეწარმეო კანონში ხორციელდება რეფორმები, რომელიც მიმართულია კომპანიების საქმიანობის ბარიერების აღმოფხვრისკენ ამ რეგულირებით კომპანიებისათვის შესაძლებელი გახდა დარეგისტრირებულიყვნენ უცხო ქვეყნებში, ამ რეფორმის იდეა არის ის რომ გერმანული კომპანიები შეინარჩუნებდნენ გერმანული საწარმოს სამართლებრივ ფორმას უცხოური ფილიალებისთვის.

საფრანგეთის მეწარმეობის კანონმდებლობის ძირითადი მიზანია ბიზნესის პირობების გამარტივება და საწარმოების ტრანსფორმაციისა და განვითარების ხელშეწყობა და ყველასათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ქვეყანამ აიღო ვალდებულება გაზარდოს ქალების მონაწილეობა კომპანიების მართვაში, სამი წლის განმავლობაში 20%-ით ხოლო ხუთი წლის განმავლობაში 40-%-ით.[13] დანიის მთავრობა მიზნად ისახავს ყველაზე ეფექტური ბიზნეს რეგულაციის შექმნას ევროკავშირში, აქ განხორციელდა სახელმწიფოსა კერძო კომპანიების საკანონმდებლო ინტეგრაცია, რომლის მიზანი იყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

[13] The Guardian, “French plan to force gender equality on boardrooms”, 2 December 2009.

შვეიცარიაში 2007 წელს მთავრობამ რეფორმა წარუდგინა პარლამენტს, რომელიც ორიენტირებული იყო იმაზე, რომ შვეიცარია გამხდარიყო მიმზიდველი ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის. გაუმჯობესდა გამჭვირვალობა.

შვედეთში 2010 წელის აპრილიდან მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე მოთხოვნა კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებისთვის არის 50 000 შვედური კრონი. მიზანი იყო კერძო კომპანიებისთვის დაარსების ხელშეწყობა.

ესპანეთში საწესდებო კაპიტალზე მოთხოვნა სააქციო საზოგადოებისათვის არის 60,100 ევრო ხოლო შპს-სთვის 3,000 ევრო. აქცენტი აღებულია საწარმოების ეფექტური და ნაკლები დანახარჯებით დაფუძნებაზე, მათი დაარსების პროცედურების გამარტივებაზე. ამ მიზნით შეზღუდული იქნა ელექტრონული რეგისტრაციის პროცედურები.

მთლიანობაში ევროპული საწარმოების კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს ისეთი შედეგების მიღებას რომელიც აქცენტირებულია იმაზე თუ რას აკეთებენ საწარმოები და როგორ აკეთებენ. ევროკავშირის ინსტუტიციური განვითარება სამეწარმეო სფეროში სამ ძირითად პილარზეა აგებული: ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერაზე შესაბამისი პოლიტიკის და რეგულირების ფორმულირებით ქვეყნების მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე. ევროპაში ძირიტადად აქცენტი კეთდება საწარმოს დაარსების ფორმაზე და განვითარებაზე და რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებაზე. ევროპის ქვეყნები ცდილობენ აქცენტი აიღონ გამჭვირვალე კორპორაციული მართვის სისტემაზე, აქციონერთა უფლებების გაზრდაზე და მართვაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაზე.

აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას განეკუთვნება სამეურნეო ბიზნესი რომელშიც, დასაქმებულია არა უმეტეს 500 კაცისა. ყველა მცირე და საშუალო საწარმო აშშ-ში იყოფა 3 კატეგორიად :

1. მიკრო საწარმოები_ ფირმები სადაც თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს;
2. მცირე საწარმოები_ 20-დან 100 კაცამდე;

3. საშუალო საწარმოები _100-დან 499 კაცამდე.

დღეისათვის აშშ-ში 7 მლნ. საწარმოა სადაც პერსონალის რაოდენობა 500 კაცს არ აღემატება. აქედან 6 მლნ. საწარმოში 20-მდე კაცია დასაქმებული, გარდა ამისა მოქედებს 18,3 მლნ. ინდივიდუალური არასასოფლო-სამეურნეო საწარმო[14]

მნიშვნელოვანია აშშ-ში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა, მცირე ბიზნესის შელშეწყობის ფილოსოფია და პრინციპები ქვეყანაში, რომელიც ტრადიციულად ითვლება „კაპიტალიზმის დასაყრდენად“ არაა ახალი. იგი გაცილებით ადრე, დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს ფორმირდა.

დიდი დეპრესიის შემდეგ სახელმწიფომ დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირება, რომლებიც ომით დაზარალდნენ. ამ პერიოდში სწორედ მცირე ბიზნესი უზრუნველყოფდა აშშ-ში სამუშაო ადგილების შექმნას და ინარჩუნებდა უაღრეს სოციალურ მნიშვნელობას.[15]

1942 წელს მიიღეს კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“ 1953 წელს აშშ-ში შეიქმნა ფედერალური სააგენტო - მცირე ბიზნესის საქმეთა ადმინისტრაცია (SBA), რომელიც დღესაც იცავს მცირე ბიზნესის ინტერესებს სამთავრობო დონეზე.

ეს ორგანიზაცია ფინანსურ და საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევს მეწარმეებს, ეხმარება სახელმწიფო დაკვეთების მიღებას და მსხვილ მერარმეებთან კონტრაქტების გაფორმებაში. სააგენტოს ფილიალები განთავსებულია ყველა დიდ ქალაქში.

ამგვარად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ყველა შტატზე ვრცელდება. SBA-ს ძირითად მიზნებს შეადგენს:

- ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის უშუალო სუბსიდირება და კრედიტირება საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე;
- ✓ დახმარება კრედიტის მიღებაში და გარანტიების წარდგენა კრედიტებზე;
- ✓ ბიზნესის ტექნიკური და საინფორმაციო მხარდაჭერა;

[14] დადვაძე დ. „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“. თბილისი. 2015

[15] Виталисова Н., «Бизнес-журнал Онлайн», 19 Августа 2005 года

✓ ფედერალური მთავრობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს კონკურენციული გარემოს შენარჩუნება და განვითარება, რომელიც საწარმოო დანახარჯების შემცირების გზით სურვილს აღძრავს მეწარმეებს გადავიდნენ უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების გამომოყენებაზე.

აშშ-ში მცირე ბიზნესისთვის ვრცელდება სპეციალური საგადასახადო შეღავათები. მაგ. „პირველი წლის ბონუსი“ როცა გადასახადი გადაიხდება დასაბეგრი თანხის მხოლოდ ნახევარზე. ფედერალური გადასახადების აბსოლუტური შეფარდებითი ოდენობის შემცირება ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას, სტიმულს იძლევა სახელმწიფო საწარმოების გასახსნელად. აძლიერებს მათ პოზიციებს ამერიკის ეკონომიკაში, და მაშასადამე, ზრდის ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობას.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროსაც ხორციელდებოდა. 2010 წელს ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა კანონს „მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ“ დოკუმენტი გულისხმობს ადგილობრივი ბანკების დაფინანსების გაზრდას ბიზნსის დაკრედიტების პროცესის გააქტიურებისთვის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას კრედიტებზე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და კერძო მეწარმეებისთვის როგორც ჩანს, მცირე ბიზნესის მხარდაჭერა აშშ-ში საკმაოდ მაღალ დონეზეა, რაც თავის მხვრივ. ხელსაყრელ კლიმატს ქმნის ქვეყანაში მცირე მეწარმეობის განსავითარებლად.

სახელმწიფო აფინანსებს ვენჩურულ ბიზნესს, სახელმწიფოს თანამონაწილეობით შექმნილი მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიების მეშვეობით, რომლებიც სარგებლობენ საგადასახადო და ფინანსური შეღავათებით და სახელმწიფო გარანტიებით კრედიტებზე (75%-მდე) მცირე საწარმოებისათვის.

SBA კოორდინაციას უწევს ისეთ მნიშვნელოვან ინოვაციურ პროგრამებს როგორიცაა:

1. მცირე ბიზნესის ინოვაციური კვლევის პროგრამა და
2. მცირე ბიზნესის ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამა (SBTT)

ვენჩურული დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, როგორც სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით, ასევე პირდაპირ, შუამავლის გარეშე.

კერძო სექტორი მცირე საინესტიციო საწარმოებში აბანდებს უდიდეს თანხას: აშშ-ს ვენჩურული ფონდების კაპიტალდაბანდებების ყოველწლიური მოცულობა შეფასებულია 3-4 მლრდ. დოლარით. დაფუძნებიდან დღემდე მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიებს 55 ათას მცირე საწარმოსათვის გადახდილი აქვთ 8,5 მლრდ. დოლარი.მათ შორის 2,6 მლრდ. დოლარი სახელმწიფო კრედიტის სახით.

საკუთარი ბიზნესის ორგანიზების მსურველ მეცნიერებს, ინჟინრებს, გამომგონებლებს, მეწარმეთა ინკუბატორში ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ თავიანთი იდეები. შტატების პროგრამების დაფინანსება ხორციელდება თვით შტატების ბიუჯეტიდან, ფედერალური მთავრობების, ხელისუფლების, ადგილობრივი ორგანოების, მსხვილი სამრეწველო კორპორაციების და უნივერსიტეტების მიერ.

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში

2.1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამკა

მცირე ბიზნესმა საქართველოში განვითარება დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, ასევე დაიწყო მცირე ბიზნესის ხელშეწყობა. 1993 წლის 18 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება „საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომლის მიხედვითაც ბიზნესის ეს სახე მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფოებრივ ამოცანად. 1994 წელს მოქმედება დაიწყო მცირე ბიზნესის განვითარების ფონდმა მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებია:

- ფინანსური და სხვა რესურსების მოზიდვა და განთავსება სამეწარმეო ინიციატივის განვითარებისთვის;
- საინვესტიციო და საინოვაციო პროექტების ექსპერტიზა;
- საკუთარი სახსრების წარმართვა უპირატესად გრძელვადიანი და საშუალოვადიანი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად;

მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი ვერ ჩამოყალიბდა ისეთ ორგანიზაციად, რომელიც კერძო მეწარმეთათვის და საერთოდ, მცირე ბიზნესისათვის რეალური მხარდაჭერისა და გარანტის როლს შეასრულებდა. საწყის ეტაპზე, მცირე ბიზნესის განვითარების ძირითად მიზანს წარმოადგენს შიდა ბაზრის მომარაგება სამომხმარებლო საქონლით. მოცემულ პერიოდში ხორციელდებოდა კაპიტალის დაგროვება და გადანაწილება, ასევე საწყისი ცოდნის მიღება, მცირე საწარმოს მუშაობის უნარ-ჩვევების შესწავლა. ამავდროულად, მიმდინარეობდა მზადება ე.წ. მცირე პრივატიზაციისთვის, რომლის შექმნის აუცილებელ ბაზას წარმოადგენდა საბაზრო ურთიერთობებზე რეალური გადასვლისათვის.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპზე მცირე საწარმოების ფუნქციონირება საქართველოში ხელს შეუწყობდა:

- ✓ დამატებითი შრომითი და მატერიალური რესურსების ეფექტიან მობილიზაციას;
- ✓ მცირე და საშუალო ქალაქების, სოფლის დასახლებული პუნქტების საწარმოო ძალების განვითარებას, იქ მყოფი შრომითი რესურსების პროფესიული მომზადების ამაღლებას, მიგრაციის შემცირებას სოფლიდან ქალაქში, პატარა ქალაქებიდან დიდში, მთიანი რეგიონებიდან სხვა რეგიონებში;
- ✓ წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებას მრეწლობაში;
- ✓ რესპუბლიკის საწარმოო ძალების განლაგების სრულყოფას.[16]

[16] გოგიაშვილი ო. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჟრის გზები საქართველოში, ქუთაისი, 2013 წელი

საქართველოში 1992 წელს მიღებულ იქნა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა, ეს პროგრამა ერთ-ერთ ძირითად მიზნად ისახავდა მცირე ბიზნესის განვითარებას და მის გამოყვანას გაჭიანურებული კრიზისიდან, გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

1993 წელს პრივატიზებულ საწარმოთა შორის თითქმის ყველა იყო მცირე (98,2%) მომდევნო წელს ეს რიცხვი 71,2%-მდე დაეცა. განსაკუთრებული იყო 1995 წელი როცა 4977 საწარმოს პრივატიზება მოხდა, რომელთა 95% მცირე იყო. აქედან პრივატიზების მაღალი დონით ვაჭრობა და საზოგადოდ კვება გამოირჩეოდა. (2184 საწარმო მცირე საწარმოთა 46,4%).

მცირე საწარმოთა პრივატიზება მკვეთრად მცირდება 2000 წლის შემდეგ, რადგან ეს პროცესი უკვე თავისი შესაძლებლობების მაღალ სტანდარტზე იყო.გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პირველ ნახევარში დამოუკიდებელ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების გზაზე გამოიკვეთა შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, ამ ხვრივ ხასიათდებოდა მკვეთრი ჩამორჩენილობა;

2. სადგომის (შენობის) მოძიების სირთულე, უფრო შეძლებული ფირმები ცალკე შენობებს ყიდულობდნენ, ჩვეულებრივ კი ქირაობდნენ;

3. პრობლემები საწარმოთა რეგისტრაციისას, ინსტანციების გავლა ხშირად იყო დაკავშირებული ქრთამის მიცემის აუცილებლობასთან;

4. სახელშეკრულებო უდისციპლინობა, არ სრულდებოდა სახელშეკრულებო ვალდებულებები, როგორც შინაარსის ისე ვადების მიხედვით;

5. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები, ეროვნული ვალუტა არასტაბილური იყო ფასების უმართავი ზრდა;

6. მცირე საწარმოები სერიოზულ სირთულეებს აწყდებოდნენ ბანთან ურთიერთობაში, რაც გამოხატავდა ბანკების უარით კრედიტების გაცემაზე;

7. არგადახდები, მომხმარებელთა გადახდისუუნარობა იწვევდა ნაღდი ფულის ბრუნვის სწრაფ ზრდას;

8. მეწარმეების უკმაყოფილებას იწვევდა, ოფიციალური გადასახადების რაოდენობა და სიდიდე, რომელსაც იშვიათად თუ გადაურჩებოდა საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენი. ხშირად მეწარმეები მალავდნენ გადასახადებს.

9. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები;

10. ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი დონე;

11. ორგანიზაციულ- სამართლებრივი გარემოს მოუწესრიგებლობა.

მცირე ბიზნესის შეფასებისას საქართველოში შეიძლება გამოვყოთ სამი პერიოდი:

1. მეწარმეობის ჩამოყალიბების პერიოდი (1990- 1996 წლები);

2. განვითარებისა და სტრუქტურული გაფორმების პერიოდი (1997-1999 წლები);

3. ცივილიზებული მოდერნიზაციის პერიოდი (2000 წ-დან დღემდე).

2000 წლის შედეგებით, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელმწიფო რეგისტრაციაში 74 609 სუბიექტი დაფიქსირდა, რომლის 75, 71%მცირე საწარმო იყო. 2003 წელს 110 144 ერთეული იყო აქედან 87,2% კერძოა.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვა წარმოადგენს ევროკაშირის მთავარ მოთხოვნას პარტნიორი ქვეყნების მიმართ. ამდენად, საქართველოს როგორც ევროკავშირის ასოცირებულ ქვეყანას, მოეთხოვება ევროპული სტანდარტების ზუსტი დაცვა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეკონომიკის მასშტაბების ყოველწლიური ზრდის მიუხედავად, მცირე ბიზზნესის სექტორი განვითარების არადამაკმაყოფილებელ ტენდენციებს ავლენს.

ქვეყნის მცირე ბიზნესის ეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა მრავალი სტრუქტურული მახასიათებლის გაანალიზება.

2012 წლის მონაცემებით, საქართველოში 366 229 საწარმო იყო რეგისტრირებული. აქედან საწარმოთა უდუდესი ნაწილი რეგისტრირებულია ქ. თბილისში - 46%, იმერეთში-12%, ქართლში-8%, სამეგრელო-ზემო სვანეთში-8%,

კახეთში-6%, აჭარაში-6%, ყველაზე მცირე რაოდენობა რეგისტრირებული იყო მცხეთა-მთიანეთში.

2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით კი საქართველოში 726 449 საწარმოა რეგისტრირებული აქედან საწარმოთა უდიდესი რაოდენობა რეგისტრირებულია ქ. თბილისში - 43,84%, აფხაზეთის ა.რ. - 0,02%, აჭარის ა.რ. - 8,78%, გურია - 2,41%, იმერეთი - 13,6%, კახეთი - 6,14%, მცხეთა-მთიანეთი - 1,86%, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 7,72%, სამცხე-ჯავახეთი - 3%, ქვემო ქართლი - 7,41%, შიდა ქართლი - 4,38%, აქედან მოქმედია ქ. თბილისი - 42,49%, აფხაზეთის ა.რ - 0,01% , აჭარის ა.რ. - 10,06% გურია - 2,61%, იმერეთი - 6,13%, მცხეთა-მთიანეთი - 0,73%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3,03%, ქვემო ქართლი - 7,51%, შიდა ქართლი - 4,84%.[17] 2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულ სუბიექტთა შორის 98,52% კერძო პირებია აქედან კერძო პირი - საქართველოს მოქალაქე - 92,32%, უცხოელი კერძო პირი - 5,08%, კერძო შერეული - 1,12%, სახელმწიფო - 0,84%, მუნიციპალიტეტო - 0,25%, სხვა - 0,38%. აქედან აქტიურია კერძო პირები - 97,72%, კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე - 91,19%, უცხოელი კერძო პირი - 5,01%, კერძო შერეული - 1,52%, სახელმწიფო - 1,58%, მუნიციპალიტეტი - 0,34%, საკუთრების სხვა ტიპი- 0,36%. ევროკავშირის კანონმდებლობით მიკრო-მცირე და საშუალო საწარმოები შემდეგი კრიტერიუმით განისაზღვრება: მიკრო საწარმო - დასაქმებულთა რაოდენობა 1-დან 9-მდე, მცირე საწარმო - დასაქმებულთა რაოდენობა 10-დან 49-მდე; საშუალო საწარმო - 50-დან 249-მდე და მსხვილი საწარმო - 250 და მეტი ადამიანი. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების ოფიციალური დაყოფა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს. დადგენილია მცირე და მიკრო ბიზნესის ცნებები მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკის კუთხით, ხოლო ინსტიტუციური და რაოდენობრივი ან თვისობრივი თვალსაზრისით კი მისი დაყოფა არ არის ოფიციალურად გარკვეული. მცირე და საშუალო

[17] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი სერიოზული ბარიერია კვალიფიკაცია და გამოცდილება. მათი ცოდნა ბაზრების, გაყიდვების არხებისა და მომხმარებლის შესახებ არის უმნიშვნელო. მცირე და საშუალო ბიზნესი კვალიფიციური კადრებისთვის არ არის მიმზიდველი.

საწარმოების განვითარების ყველაზე ხელისშემშლელი გარემოებები დაკავშირებულია ინოვაციებთან, ტექნოლოგიებთან, უმაღლესი განათლებისა და ტრენინგების მდგომარეობასთან და ფინანსური ბაზრების განვითარებასთან. ეს ბარიერები განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის მტკივნეულია და იგი საბოლოოდ ზემოქმედებს ბაზრებში მათი ჩართულობის ხარისხზე.

ევროკავშირი ცდილობს უფრო მეტი მხარდაჭერით უზრუნველყოს საქართველო. იგი საქართველოს სთავაზობს მიუახლოვდეს ევროკავშირის ბიზნესის განვიტარების სტრტეგიას. ამასთან ერთ-ერთი ყველაზე გლობაალური სფეროს_ინოვაციური საქმიანობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების დეფინიციის გადასალახავად, მთავრობის მიერ ოფიციალურად დამტკიცდა სტრატეგიულ დოკუმენტი **„საქართველო 2020“**, რომლის მიხედვითაც საქართველოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო, სწორედ ინოვაციებისა და ამ მიმართულებით განათლების ხარისხის ხელშეწყობაა.

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მოქმედი 2011 წლიდან) განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის კრიტერიუმებ, აღნიშნული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ

საგადასახადო მიზნებისთვის და შემოღებულ იქნა მცირე და მიკრო მიზნებისთვის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდალური წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. (ეს კანონი შეცვილია) ხოლო მიკრობიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდალური წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. (შეცვლილია)

მცირე ბიზნესი 2018 წლის ივლისამდე იბეგრებოდა 3% ან 5%-იანი განაკვეთით. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრებოდა 5%-ით. 3%-იანი განაკვეთი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს აქვს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მის მიერ გაწეული ხარჯები შეადგენდა მისი ერთობლივი შემოსავლის 60%-ს მიკრო ბიზნესი გათავისუფლებულია საშემოსავლო და მიმდინარე გადასახადების გადახდისგან. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის შემოღების და შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესების მთავარი მიზანია ერთის მხვრივ ამგვარი ბიზნესის რეგისტრაციის ხელშეწყობა და მეორეს მხვრივ საგადახადო ტვირთის შემცირება.

საქართველოს შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, ახალი საგადასახადო შემოღების შემდეგ დარეგისტრირდა 83 231 მიკრო და მცირე საწარმო, რომელთაგან 39 470 არის მიკრო, ხოლო 43 761 არის მცირე საწარმო.

გარდა ამისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საწარმო, რომლის კალენდარული ბრუნვა წლის განმავლობაში არ აღემატებოდა 100 ათას ლარს, გათავისუფლებულია დღგ-სგან. ასევე ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი იბეგრება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღრული რიგი საქმიანობები. საქართველოს კანონი „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ განსაზღრავს გაკოტრების და საწარმოთა რეაბილიტაციის პროცედურების მსოფლიო ბანკის doing business 2016 ანგარიშის მიხედვით, საქართველოში

საწარმოები აწყდებიან სირთულეებს ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებით, დაბალია გაკოტრების შემთხვევაში ამონაგების მაჩვენებელი (recovery rate - 39,9 ცენტი 1 აშშ დოლარზე) განსაკუთრებით OECD-ის ქვეყნებთან შედარებით (72,3 ცენტი 1 აშშ დოლარზე) თუმცა, ეს მაჩვენებელი მაღალია ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე. (38.3 ცენტი 1 აშშ დოლარზე). საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ოფიციალურად ჩამოყალიბებული სისტემა. მიუხეავად ამისა მარტივი RIA, რომლის მიზანია ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორზე შესაძლო რეგულირების ტვირთის, აგრეთვე, მოსალოდნელი სახელმწიფო ხარჯების შეფასება ხორციელდება ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე.

2018 წლის 1 ივლისიდან, მცირე ბიზნესის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, ძალაში შევიდა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი. მასშტაბური საგადასახადო ცვლილება 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს შეეხო . ახალი საგადასახადო რეჟიმი ერთი მხრივ, აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტარიფს (1%) მცირე ბიზნესისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მეწარმეებისთვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით, მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯები. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზრდება მცირე ბიზნესის წილი.

ახალი საგადასახადო რეფორმა უზრუნველყოფს სექტორის უფრო მეტ გამჭირვალობას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეებს უფრო მეტად ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსებზე. დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მნიშვნელოვანი სტიმულია მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში იქნება 500 000

ლარამდე, ნაცვლად მანამდე არსებული 100 000 ლარისა.[18]

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი მიმდინარე წლის 1 ივლისიდან იბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5%-სა. ამასთან, 500 000 ლარზე გადაჭარბების მიუხედავად, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი უნარჩუნდება 2 კალენდარული წლის განმავლობაში - განაცხადა შემოსავლების სამსახურის უფროსმა, გიორგი თაბუაშვილმა. ცვლილების თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი აღარ იქნება მეწარმე ფიზიკური პირის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი. ამასთან, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს და დეკლარირებას განახორციელებს ყოველთვიური მარტივი დეკლარაციის ფორმის მეშვეობით.

მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს. მეწარმე ფიზიკურ პირად რეგისტრაცია (მაგ. სახელოვნებო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში) ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ, ხოლო თუ პირი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად განიხილება ინდივიდუალურ მეწარმედ, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე, ვალდებულია დარეგისტრირდეს ინდივიდუალურ მეწარმედ.

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით, მეწარმე ფიზიკური პირი მიმართავს საგადასხადო ორგანოს. მცირე ბიზნესის სტატუსი პირს ენიჭება განცხადებაში მითითებული თარიღიდან. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, მეწარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს იმავე წელს, სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით, მიმართოს საგადასახადო ორგანოს და კვლავ მიიღოს სტატუსი.

[18] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხელმისაწვდომი: 07.05.2019, https://www.mof.ge/

აღნიშნული რეფორმის შედეგი იქნება მხოლოდ პოზიტიური - ის ახალ სტიმულს, ბიძგს მისცემს ქვეყანაში საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას.

2.2. ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმები

მცირე სიდიდის საწარმოები ტრადიციულად განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მდგრადობას და წარმოადგენენ უმუშევრობის დაძლევასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს.

უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის როლი ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში. პროფ. ნ. ჭითანავა მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც მომავალი სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის უმთავრეს ელემენტს. [19]

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეთა განვითარების ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რომელსაც საფუძვლად დაედო წარმატებული ქვეყნების გამოცდილება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაში, რომლებიც ქვეყნის სოციალური პრობლემებისს გადაჭრისათვის დანერგილი იქნა პრაქტიკაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თუ 1988 წელს ქვეყანაში მოქმედი მეწარმე სუბიექტების 95,6% სახელმწიფო საწარმოებს განეკუთვნებოდა, უკვე 1998 წელს საწარმოთა 85,7% მოდიოდა კერძო მეწარმე სუბიექტებზე.

სახელმწიფომ ბიზნესის განვითარების მიზნით დააფუძნა მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი.

საქართველოს პრეზიდენტმა 2002 წლის ბრძანებით დაამტკიცა „2002-2004 წლების მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამა“.

---

[19] ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, სესპსკი შრომების კრებული, 2000.

აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა საწარმოთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით:

1. ფინანსური დახმარების აღმოჩენა:

- მცირე მოცულობის პირდაპირი სესხები;
- მცირე საწარმოებისთვის გარანტიების გაცემა, კომერციულ ბანკებში სესხის მისაღებად;
- საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება.

2. საინფორმაციო საკონსულტაციო, განათლებისა და ტრენინგის სფეროები. პროგრამის რეალიზაციის პროცესში მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი ასრულებდა ორ ძირითად ამოცანას:

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ძირითადი საშუალებებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციულ უზრუნველყოფას;
- საწარმოთა პოტენციალის ტრენინგისა და სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

ამრიგად, 2006 წლამდე საქართველოში მიღებულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონი-1999 წლის 23 ივლისს;
- „მცირე და საშუალო საწარმოთა საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 26 იანვრის ბრძანებულება;
- „მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების და ხელშეწყობის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აპრილის №134 ბრძანებულება;[20]

[20] საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აპრილის №134 ბრძანებულება;https://www.google.com/search?rlz=1C1CHBD_ruGE802GE802&q=საქართველოს+პრეზიდენტის+2000+წლის+8+აპრილის+№134+ბრძანებულება;&tbm=isch&sourc

- „2002-2004 წლებში საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის №309 ბრძანებულება.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში რეფორმები გატარდა შემდეგი ექვსი მიმართულებით:

- ✓ ბიზნესის დაწყება;
- ✓ ლიცენზიების გაცემა;
- ✓ კრედიტების მიღება;
- ✓ საკუთრების რეგისტრაცია;
- ✓ ინვესტიციების დაცვა;
- ✓ ბიზნესის დახურვა.

გაუმჯობესდა ბიზნესის გარემო გამარტივდა ბიზნესის დაწყება, მეწარმეთა მიერ კრედიტის აღება, ლიცენზიებისა და ნებართვის მიღება და ა.შ. ამის შესაბამისად საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-18 ადგილი დაიკავა მსოფლიოში 178 ქვეყანას შორის, ხოლო 2009 წელს კი მე-15 ადგილზე დაწინაურდა. 2007 წელს „სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“[21] დაფინანსდა 20 მლნ. ლარით, ხოლო 2008 წელს კი 62,5 მლნ. ლარი გამოიყო „იაფი კრედიტის“ პროგრამის ფარგლებში, რომლიდანაც ექსპორტის წახალისების ქვეპროგრამას მოხმარდა 49,5 მლნ. ლარი 2009 წელს „იაფი კრედიტის“ პროგრამას მოხმარდა 2,5 მლნ. ლარი, ხოლო 2010, 2011, 2012 წლებში ამ პროგრამის დაფინანსება აღარ განხორციელებულა.[22] მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2014 წლის 1 ივნისს დაწყებული ახალი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მის მიზანს წარმოადგენს

[21] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე „სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა ხელმისაწვდომი 04.07.2019.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2776?publication=0

[22] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე „იაფი კრედიტის“ პროგრამა. ხელმისაწვდომი 04.07.2019
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2301940?publication=0

წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრირების განვითარების ხელსეწყობა, მეწარმე სუბიექტის მხარდაჭერა, მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 46 მლნ. ლარს, მათ შორის: სასოფლო-სამერნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზე მოდის 31 მლნ. ლარი. ინდუსტრიული პროდუქციის წარმოებაზე-16 მლნ. ლარი. აწარმოე საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა:

- ✓ მიღებულ იქნას კანონი მცირე და საშუალო წარმოების შესახებ;
- ✓ შეიქმნას მცირე ბიზნესის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტექნიკური ხასიათის ამოცანების რეალიზებას, უზრუნველყოფს ქვეყანაში მცირე ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, მასში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას საქმიანობის კოორდინაციას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გზაზე იკვეთება ორი მნიშვნელოვანი გადასაჭრელი პრობლემა: ჯერ ერთი ის, რომ საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები, არსებული კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე ძალზე ძვირი ჯდება, განსაკუთრებით გადასამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებულებით გაუქმებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ადრინდელი ბრძანებები.

საქართველოს მთავრობამ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემდეგი სამი მთავარი საკითხი უნდა გადაჭრას:

1.მცირე მეწარმეობის წახალისება იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრმა დაუსაქმებელმა ან კიდევ არადამაკმაყოფილებლად დასაქმებულმა ადამიანმა გადაწყვიტოს საკუთარი საქმის დაწყება და გადადგას პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით;

2. მცირე მეწარმეთა სწავლება იმისათვის, რომ სულ უფრო ბევრმა მეწარმემ, საკუთარი საქმიანობის პირველივე ნაბიჯების გადადგმისას, რაც შეიძლება მეტი სწორი ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება შეძლოს როგორც

მმართველობითი, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით;

3. მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვებში იმისათვის, რომ მიიღო პირველი შემოსავლები, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოტივაციას.

აუცილებელია სტრატეგიის შემუშავება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, მცირე მეწარმეობის წახალისების კუთხით: ა) რაც უფრო მეტი ადამიანის შესახებ გავრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნულიდა დაიწყეს და დღეს აქვთ წარმატებული ბიზნესი, მით უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდება სურვილი შექმნას მცირე საწარმო;

ბ) იდეების მოწოდება, იმის შესახებ თუ რა შეიძლება გააკეთონ ადამიანებმა, რომლებიც საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს და რა შესაძლებლობები არსებობს;

გ) საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება, მცირე მეწარმეთათვის, რომელიც მოიცავს მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რცევებსა და განმარტებებს საკანონმდებლო-საგადასახადო ნიუანსებზე. მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობი ზრდის მხარდაჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება _ მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. მეწარმეობის განვითარების სააგენტო წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამის განხორციელების ერთადერთ მაკორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია:

- ✓ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ✓ დამწყები ბიზნესის მხარდაჭერა;
- ✓ თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა;
- ✓ საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ.

სააგენტოს მთავარი ფუნქციებია:

✓ ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში;

✓ სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

✓ ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება;

✓ მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაბეგვრისა და განვითარების კუთხით;

✓ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა სქემების გამოყენებით;

✓ საერთაშორისო ბაზარზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა. შ.

საქართველოს ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო: წარმოადგენს ცოდნისა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია:

• ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია;

• ინოვაციების თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითრების სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა;

• ინოვაციური დამწყები კომპანიების ფორმირების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;

სააგენტოს ფუნქციებს შორისაა:

• ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვიტარების ხელშეწყობა;

• ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციების, ინოვაციური პროექტებისა და პროდუქციების მხარდაჭერა;

• საწარმოებისათვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება;

• ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მარალსიცქარიანი ინტერნეტით;

• საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა. შ.

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა - პალატა დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია: ბიზნესისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნესის უნარებისა და ბიზნესის დაბეგვრის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა. პალატის წევრობა ნებაყოფლებითია. ამჟამად, პალატას ჰყავს 1007 წევრი, რომელთა 90% მცირე და საშუალო მეწარმეა. გადასახადი მერყეობს ო-დან 10 000 ლარამდე და დამოკიდებულია გაწეულ მომსახურებაზე. მეწარმეები არ იხდიან წევრობის გადასახადს. პალატას აქვს 5 რეგიონალური ოფისი.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია_იგი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 1000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს. იგი უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის. წევრობა ფასიანია და მერყეობს 600 აშშ. დოლარიდან 2000 აშშ. დოლარამდე საწარმოს ზომიდან გამომდინარე.

საქართველოს მცირე და საშუალო ცსაწარმოთა ასოციაცია_წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერების დაცვა და ადვოკატირება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან სამეწარმეო უნარების განვითარების, სხვადასხვა მიმართულებით კონსულტაციების გაწევის მიმართულებით და სხვა ასოციაციას ჰყავს 106 წევრი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები და ინოვაციები-

მცირე და საშუალო მეწარმეობის, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნისა და ასევე, არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებითნმეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნას, არსებული საწარმოების გაფართოებასკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ

დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებას, პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსპ-ები- მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსპი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი 2015 წელს „აწარმოე საქართველოში" დაემატა ორი ახალი მიმართულება: ა) სასტუმროს განვითრების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ფრანჩაიზის ხარჯების დაფინანსებას და ბ) კინო-ინდუსტრიის ხელშეწყობა.[23]

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ტექნიკური დახმარების ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ ბიზნეს და ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას და გაივლიან ტრენინგს.

მხარდაჭერილ იქნა 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ. ლარამდე, ასევე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 ბენეფიციარი/მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში- საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) ევროპული განვითარების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (FBRD), და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლოტიკის საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით. საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის east-invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნეს-

[23] აწარმოე საქართველოში - ხელმისაწვდომი: 05.07.2019, www.qartuli.ge

სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. შემუშავებული და დამტკიცებულია პროცესების შეთანხმებისა და DCFTA-ს საქველმოქმედო გეგმები, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებს შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების შესრულებას, საინფორმაციო კამპანიებს და სხვა.

3. მცირე და საშუალო ბიზნესი აჭარაში.

3.1. აჭარის რეგიონის სამეწარმეო პოტენციალი და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული და მიმდინარე სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების პორტფელის ღირებულებითმა მოცულობამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 461.2 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 46%-ით აღემატება.

ინვესტიციების უმეტესი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა (38%) და საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობაზე (28%), მას მოყვება კეთილმოწყობის სამუშაოები (11,1%), გარემოს დაცვითი ღონისძიებები (8,3%), წყალმომარაგების და წყალანირების სისტემის მშენებლობა (4,2%), ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა (2,8%), დასუფთავება ნარჩენების მართვა (2%).

დიაგრამა №1. ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით



სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ღირებულების 85% მოდის სახელმწიფო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო 15%-საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და და სხვა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებზე.

დიაგრამა №2. ინვესტიციების განაწილება დაფინანსების წყაროების მიხედვით

ინვესტიციები თვითმმართველი ერთეულების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: ბათუმი-63.7%, ქობულეთი-12.1%, ხელვაჩაური-4.9%, ხულო-4.5%, შუახევი-3.1%, ქედა-2.6%, ხოლო დანარჩენი 9.1% მოდის საერთო რეგიონალურ პროექტებზე განაწილდება.

დიაგრამა №3. ინვესტიციების განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით



ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს საქართველოს საინვესტიციო ცენტრი რომლის ფუნქციებია:

ა) ინვესტორთა საქმიანოანობაში ხელის შეწყობა;

ბ)საქართველოს როგორც ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი ქვეყნის წარმოჩენა, საკანონმდებლო და საგადასახადო სისტემის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გავრცელება;

გ)საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება;

დ) ინვესტიციბის მოზიდვა, უცხოურ კომპანიებთან კონტაქტების დამყარება. აჭარის რეგიონში ინვესტიციების განხორციელებისათვის არსებობს 5 მყარი არგუმენტი:

1) ბიზნესზე ორიენტირებული და სტაბილური გარემო;

2) საქართველო-ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება;

3) დაბალი საგადასახადო განაკვეთები და შეღავათები;

4)

ლიბელარული ეკონომიკური კანონმდებლობა; 5) სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა.[24]

აჭარაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით„ტოპ-10“ კომპანია:

1. შპს. „აჭარისწყალი ჯორჯია“.
2. შპს „მედეა ოფერეინინგ კომპანი“
3. შპს „ბათუმი თაუერი“
4. შპს. „დოქონ“
5. შპს. „მერსი ტურიზმი“
6. შპს. „ქერვან ტურიზმი“ 7. სს. „აჭარის კურორტები“ 8. შპს. „დრიმლენდ ოაზისი“ 9.შპს. „კორუნხეთი ჯორჯია“ 10. შპს. „აჭარა კორუნხეთი“

აჭარის ნომერ პირველი ინვესტორია „აჭარისწყალი ჯორჯია“.

დიაგრამა №4. რეგიონში ყველაზე მეტი მოცულობის ინვესტიციები



[24]Invest in Batumi, ხელმისაწვდომი: 05.07.2019, https://investinbatumi.ge/home/2

როგორც დიაგრამიდან ჩანს 2016 წელს აჭარის რეგიონში ყველაზე მეტი მოცულობის ინვესტიცია განახორციელა ნორვეგიმ და ინდოეთმა (49%), თურქეთმა კი (45%).

დიაგრამა №5 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში განხორციელებული კერძო ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

2016 წელს კერძო სექტორის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელდა 427,9 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია, რომლის 71% უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა.

დიაგრამა №6 ტერიტორიული ერთეულების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2016 წელი.



როგორც დიაგრამიდან ჩანს ინვესტიციების 53%-ბათუმში, 18%- ხულოში, 17%-შუახევში, ხოლო დარჩენილი 12% სხვა ტერიტორიულ ერთეულებში განხორციელდა.

დიაგრამა №7. კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით (აჭარის ა. რ. 2016 წ.)



ინვესტიციების 45% ენერგეტიკაზეა განხორციელებული ტურიზმი-32%, მშენებლობა-21%

მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მეწარმეთათვის მოქმედებს „მთის კანონი“, რომლის მიხედვითაც 10 წლის განმავლობაში საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო, ქონების და მოგების გადასახადისგან. ამ კანონით სარგებლობის უფლება აქვთ იმ საწარმოებსა და მეწარმეებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი. ეს კანონი ერთგვარი სტიმულია მცირე ბიზნესის განვითარებისთვის მაღალმთიან რეგიონებში. მაღალმთიანი საწარმოს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ

პირს/ინდმეწარმეს და ასევე საწარმოს.[25] აჭარის მაღალმთიანი რეგიონებია: ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფლები- დიდვაკე და ხონი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფელი ქვედა ქოქოლეთი; ქედის შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისთრაციულ საზღვრებში არსებული ყველა დასახლება. აჭარის მაღალმთიანი რეგიონების განვითარების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მევენახეობის განვითარებას. აჭარაში 50-ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიშია, 2004 წლიდან რეგიონში ვენახის ფართობი 88 ჰექთარს მოიცავს, ხოლო ვენახი გაფანტული ნარგავების ჩათვლით 177 ჰექტარზეა გაშენებული. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ 110 ტონაა.[26]

აჭარის რეგიონი მდიდრია ტყის რესურსებით, ასევე ჰიდრომინერალური რესურსებითაც. ნინერალური წალის გამოსავლები გვხვდება როგორც ზღვისპირეთში ასევე მთაში. ამჟამად მიმდინარეობს კოკოტაურისა და კაპნისთავის მინერალური წყლების ჩამოსხმა. მაღალი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება ასევე მახინჯაურის თერმული წყლებიც. სამშენებლო მასალებიდან აღმოჩენილია მოსაპირკეთებელი ქვების საბადოები: 1)დანისპარაულის დაციტი 2)ხალასთავის გაბრო-დიორიტი 3)სანალიის დაციტი 4)ნამონასტრევის სიენიტ-დიორიტი. ინერტიული მასალები: 1)ხეღრუს დიორიტი 2)კინკიშის ანდეზიტი. სააგურე კერამიკული თიხები: 1)ბრილის 2)ოჩამჩირის 3)ცეცხლაურის 4)ჯიხანჯურის 5)ჭოროხის ქვიშა-ხრეშის. [27]

რეგიონი ასევე გამოირჩევა საკურორტო ზონებით, აღსანიშნავია სამთო-სათხილამურო კურორტები გოდერძი და გომარდული, საზაფხულო კურორტი

---

[25] საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, ხელმისაწვდომი: 07.05.2019, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304

[26] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი, ხელმისაწვდომი: 07.05.2019, http://www.adjara.gov.ge/

[27] საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხელმისაწვდომი: 05.07.2019, http://www.moa.gov.ge/

ბეშუმი, მიმდინარეობს ალპური ზონის კეთილმოწყობა შქერნალის ტერიტორიაზე, ტურისტებში განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს მწვანე ტბა.

3.2. მეწარმეობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის წამროებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით ჩავატარეთ კვლევა, რომლის შედეგებსაც ქვემოთ ვრცლად შემოგთავაზებთ კვლევის მიზანია გაირკვეს ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც აწყდებიან მეწარმეები ბიზნესის კეთების დროს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 123 ადამიანმა, გამოკითხულთა 51,2% 18-დან 25

წლამდეა, 32,5% 25-35 წლამდე 8,2% 35-45 წლამდე, ხოლო 8,1% 45-დან ზევით მოცემული მონაცეების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ გამოკითხვით დაინტერესდა უფრო მეტად ახალგაზრდა თაობა რაც მიუთითებს მათ ჩართულობაზე მსგავსი სახის გამოკვლევებში.(იხილეთ დიაგრამა №1)

დიაგრამა № 1 ასაკი



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

გამოკითხულთა უმეტესობა ანუ 48,8% განათლებით ბაკალავრია, 22,8%-საშუალო, 22%-მაგისტრია 4%-დოქტორი, ხოლო დარჩენილი 4%-ის განათლება არის არასრული საშუალო, ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა თაობას უფრო მეტი ინტერესი აქვს მსგავსი კვლევების მიმართ.(იხილეთ დიაგრამა №2)

დიაგრამა №2 განათლება



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

კითხვაზე ხართ თუ არა დასაქმებული? რესპოდენტთა 53,3%-ის პასუხი დადებითია 29,3% უმუშევარია ხოლო 13,8% დროებით უმუშევარია, უმნიშვნელო პროცენტული მაჩვენებელი აქვს კერძო რეპეტიტორსა და ჯარისკაცს. [28] (იხილეთ დიაგრამა №3)

დიაგრამა №3 სამსახურეობრივი ვითარება



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

[28] ჩატარებული კვლევის შედეგები, ხელმისაწვდომი 07.07.2019 https://docs.google.com/forms/d/1IeeQoLOr0RPP_Q4V5NzCXFkZzJhq8_31q53kub6rFEc/edit#responses

გამოკითხულთა 53,7%-ის საცხოვრებელი ადგილია მაღალმთიანი აჭარა 36,6% ცხოვრობს ქალაქში ხოლო 8,1% საცხოვრებელი ადგილია პერიფერია.(იხილეთ დიაგრამა №4)

დიაგრამა №4 საცხოვრებელი ადგილი



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

კითხვაზე რა არის მცირე და საშუალო ბიზნესი? გამოკითხულთა 70,7% მიიჩნევს, რომ ეს არის ბიზნესი, რომლის სტატუსიც განისაზღვრება ბრუნვის ოდენობით, 35%-ის აზრით ეს არის ბიზნესი, რომლის სტატუსიც განისაზღვრება დასაქმებულთა რაოდენობით, ხოლო 21,1%-ის აზრით ესაა ბიზნესი, რომლის სტატუსიც განისაზღვრება ადგილმდებარეობის მიზედვით. ეს მონაცემები მიუთითებს რომ გამოკითხულთა ცნობადობა მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის მინიჭების შესახებ დაბალია, რაც საჭიროებს გამოსწორებას. მოსახლეობის ცნობადობის ამაღლების მიზნით უნდა ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სადაც მოსახლეობას დაწვრილებით აუხსნიან თუ რა ახალი პროგრამები აქვს სახელმწიფოს და როგორ უნდა მოხდეს მათი ათვისება.(იხილეთ დიაგრამა №5)

დიაგრამა №5 რა არის მცირე და საშუალო ბიზნესი



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

გამოკითხულთა 45,5%-ს არ სმენია მცირე და საშუალო მეწარმეობის პროგრამების შესახებ, 43,3% იცნობს პროგრამის ბენეფიციარს, ხოლო 11,4% თვითონ იყო პროგრამის ბენეფიციარი. მოცემული პროცენტული მაჩვენებელი, კიდევ ერთხელ, ცხადყოფს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების მხოლოდ არსებობა არაა საკმარისი და საჭიროამათი მიზანმიმართული გამოყენება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებლების მიერ. (იხილეთ დიაგრამა №7)

დიაგრამა №7 მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრამის ბენეფიციარი



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

გამოკითხულთა უმრავლესობა 54,5% ფიქრობს რომ სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები არ არის საკმარისი მაღალმთიანი აჭარის განვითარებისთვის, 33,3%-ის აზრით ნაწილობრივ საკმარისია ხოლო მხოლოდ 11,4%-ის აზრით პროგრამები სრულიად საკმარისია იმისათვის რომ განვითარდეს მაღალმთიანი აჭარა. (იხილეთ დიაგრამა №8)

დიაგრამა №8 სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

კითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკის განვითარებისთვის გამოკითხულთა 65,9%-ის აზრით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, 27,6% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ხოლო 6,5%-ის აზრით მცირე ბიზნესის გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე უმნიშვნელოა. გამოკითხულთა მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მცირე ბიზნესი ეკონომიკის და ზოგადად რეგიონის განვითარებისათვის მნიშვნელოვალი სფეროა. მისი განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონის კეთილმოწყობას.(იხილეთ დიაგრამა №9)

დიაგრამა №9 მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეკონომიკაში



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

კითხვაზე მაღალმთიანი აჭარის განვითარებისათვის რომელი ფაქტორია ყველაზე მნიშვნელოვანი პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: 59,3%-ის აზრით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, 35,8%-აზრით ტურიზმის განვითარება ხოლო 45,5%-ის აზრით როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის ასევე ტურიზმის განვითარება. 4,8% კი მიიჩნევს, რომ უნდა განვითარდეს როგორც ტურიზმი ასევე მცირე და საშუალო ბიზნესი და უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. (იხილეთ დიაგრამა №10)

დიაგრამა №10 მაღალმთიანი აჭარის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორები



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

რაც შეეხება კითხვას მცირე და საშუალო ბიზნესი რომელ დარგზე უნდა იყოს ორიენტირებული? გამოკითხულთა 75,6%-ის აზრით სოფლის მეურნეობაზე, 37,4%-ის აზრით ეკო ტურიზმის განვითარებაზე, 28,5% კი უპირატესობას ანიჭებს ინფრასტრუქტურის განვითარებას, 0,8%-ის აზრით პროდუქციის მწარმოებელ დარგებზე, 1,6%-ის აზრით კი ყველა დარგი ერთნაირად მნიშვნელოვანია და ერთად უნდა მოხდეს მათი განვითარება. (იხილეთ დიაგრამა №11)

დიაგრამა№11 ბიზნესის პრიორიტეტული დარგები



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა ფინანსებზე წვდომა-56,1%, გამოკითხულთა 41,5%-ის აზრით მნიშვნელოვანია ინფორმირება, 32,5% მიიჩნევს რესურსების არარსებობას, ხოლო 2,4% სამივე ფარტორს ასახელებს გადამწყვეტად.(იხილეთ დიაგრამა №12)

დიაგრამა№12 მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნშვნელოვანი ფაქტორები



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მონაცემების საუძველზე

აღნიშნული კვლევა საშუალებას გვაძლებს ვისაუბროთ, ყველა იმ ძირითად პრობლემაზე რომელიც, აწუხებს მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მხვრივ. ფინანსებზე წვდომა დასახელდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად რაც მიუთითებს იმაზე რომ ხელშეწყობის პროგრამები არაა სამკარისი რეგიონის განვითარებისათვის

დასკვნები და რეკომენდაციები

მოცემულ ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესი, კერძოდ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოების ევროპული და ამერიკული გამოცდილება, ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები

ცხადყოფს სახელმწიფოს ჩართულობასა და ინტერესს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის. ევროპაში აქცენტი აღებულია ინოვაციური საწარმოების შექმნისათვის რაცევროკავშირის დაფინანსებით და ხელშეწყობით ხორციელდება. ევროპის ქვეყნების ეკონომიკური სიმყარის ერთ-ერთი მიზეზია მოწესრიგებული საკანონმდებლო სისტემა, რომელიც ეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, ევროპაში დასაქმებულთა 70% მოდის მცირე და სასუალო საწარმოებზე რაც კიდევ ერთხელ აღნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესის როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. აშშ-ში მცირე ბიზნესისხელშეწყობა ხორციელდება არა მარტო სახელმწიფო, არამედ ცალკეული შტატების ბიუჯეტიდანაც რის მეშვეობითაც ხორციელდება ფინანსური დახმარების გაწევა იმ კონკრეტულ სფეროზე, რომელიც ესაჭიროება მოცემულ შტატს. რაც შეეხება საქართველოს ბოლო პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო ისეთი პროგრამების განხორციელება როგორიცაა აწარმოე საქართველოში, შემუშავებულ იქნა საქართველოს მცირე და სააშუალო ბიზნესის სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, მოქმედებს კანონები საივესტიციო საქმიანობისა და ხელშეწყობის შესახებ ასევე სხვადასხვა სახის პროგრამები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მოცემული ხელშეწყობის პროგრამები ჯერ კიდევ არაა საკმარისი ევროკავშირის სტანდარტების მორგებისათვის. საჭიროა პრევენცილი ზომების მიღება იმისათვის, მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება რაც შექმნის სამუშაო ადგილებს, გაიზრდება ეკონომიკა, ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩვენი პროდუქცია გავა ევროპის ბაზარზე. მიუხედავად იმისა რომ არსებობს ხელშეწყობის პროგრამები მცირე ბიზნესის წილი ეკონომიკაში ძალიან დაბალია, იგი ვერ ქმნის შესაბამის პროდქტს განსაკუთრებით ცუდ ვითარებაა მაღალმთიან რეგიონებში. რაც შეეხება აჭარის რეგიონს კვლევამ ცხადჰყო ყველა ის პრობლემა, რომელიც არსებობს მოცემულ რეგიონში. აღსანიშნავია, რომ მცირე და სასუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები გარკვეულწილად მოქმედებს რეგინში, თუმცა გამოკითხულთა უმეტესობას არ სმენია ამ პროგრამების შესახებ რაც ასახავს მოსახლეობის

არაინფორმულობას, ფინანსებზე წვდომა არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა რეგიონში მცირე და საშუალო განვითარების კუთხით, საქართველოში არსებობს კანონი მაღალმთიანი რეგიონის ხელშეწყობის შესახებ, რომელიც აწესრიგებს მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრამებსაც, თუმცა ეს ხელშეწყობაც საკმაოდ დაბალია იმისათვის, რომ განვითარდეს რეგიონი. აჭარის რეგიონში არ არის საკმარისი ფინანსური ხელსეწყობა იმისათვის რომ განვითარდეს მეწარმეობა. აჭარის რეგიონის მეწარმეობის პოტენციალი არ არის მრავალპროფილური, რაც ხელს უშლის რეგიონის განვითარებას, რეგიონში უნდა განვითარდეს ეკო ტურიზმი, იმისათვის რომ მოხდეს უფრო მეტი ტურისტის მოზიდვა, რაც თავისთავად გაზრდის მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ეკო ტურიზმი უნდა იყოს რეგიონის განვითარებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტი. აჭარის რეგიონში აგრო მრეწველობა არ არის განვითარებული რაც აისახა კვლევაში, მისი განვითარების შედეგად შესაძლებელი იქნება უფრო მეტი ფერმერის ჩართვისა ქვეყნის ეკონომიკის შენებაში, უნდა განვითარდეს ფერმერული მეურნეობა, რეგიონშიმცხოვრებ მოსახლეობას უნდა ჰქონდეთ საშუალება რეალიზება გაუწიონ მათ შექმნილ პროდუქტს, მოსახლეობის ჩართულობა დაბალია საინფორმაციო სახის შეხვედრებში, თუმცა ასევე დაბალია მსგავსი სახის ღონისძიებები, ამიტომ საჭიროა ხშირად მოხდეს საინფორმაციო შეხვედრების გამართვა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ასევე ფერმერული მეურნეობის განვირება დადებითად აისახება არა მარტო მოსახლეობის ან რეგიონის, არამედ ქვეყნის ეკონომიკაზეც.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ აჭარის რეგიონში გარკვეულწილად მოქედებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები, თუმცა არაა საკმარისი, დაბალია მოსახლეობის ჩართულობა და ინფორმულობა მსგავსი საკითხების მიმართ, ასარასაკმარისი ინფორმაციიდან გამომდინარე შეუძლებელია ინფორმაციის შეკრება და მიზანმიმართულად გამოენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადეიშვილი გ, ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ., 1998 გვ. 132

2. გოგიაშვილი ო. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჟრის გზები საქართველოში, ქუთაისი, 2013 წელი

3. დადვაძე დ. „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“. თბილისი. 2015

4. კობერიძე ბ. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები , თბილისი 2015

5. ლეილა ცეცხლაძე მცირე ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის სტრატეგია თანამედროვე მართვის სისტემაში ბათუმი 2012

6. მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები. თსუ, 2011. გვ. 21

7. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლები.

8. ქეშელაშვილი ო., ბიზნესის ძირითადი პრობლემები, მოტივაციები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. საქართველო. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ, 1997 . გვ. 201

9. შუბლაძე გ. ნანიტაშვილი მ. ბიზნესის საფუძვლები, გამომცემლობა ”უნივერსალი“ თბილისი 2011, გვ. 110-117

10. ჯეიმს ს. ვან ჰორნი. „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“ საქართველოს მაცნე, 2013 (72,გვ. 54)

11.ჭითანავა ნ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, სესპსკი შრომების კრებული, 2000.

12. Madura J., Introduction To Business. Fourth Edition, 2007 გვ,20

13. Виталисова Н., «Бизнес-журнал Онлайн», 19 Августа 2005

14. Роговский Е.А., Верпаховский Б.Э. Коммерческое качество продукции и

малосерийное производство впромышленности США // США - ЭПИ. 2000. № 9. С.44-49. 15. Шумпетер Й. А. Теория экономического развития: исследование предпринимательской прибыли, капитала, кредита, процента и цикла конъюнктуры. М.: Прогресс, 1982 გვ 12

16. Cuzin R. Etude exploratoire visanta evaluer la place de l'innovationdans la creation d'entreprise par les ingenieurs/ Memoire pour le Diplomed'EtudeApprofondieses sciences de gestion, EM Lyon. 2000. 52.

17.The Guardian, "French plan to force gender equality on boardrooms", 2 December 2009.

18. აწარმოე საქართველოში - ხელმისაწვდომი: 05.07.2019, www.qartuli.ge

19. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი, ხელმისაწვდომი: 07.05.2019, http://www.adjara.gov.ge/

20. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე „სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა ხელმისაწვდომი 04.07.2019. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2776?publication=0

21. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აპრილის №134 ბრძანებულება;https://www.google.com/search?rlz=1C1CHBD_ruGE802GE802&q=საქართველოს+პრეზიდენტის+2000+წლის+8+აპრილის+№134+ბრძანებულება;&tbm=isch&sourc

22. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე „იაფი კრედიტის" პროგრამა. ხელმისაწვდომი 04.07.2019 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2301940?publication=0

23. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, ხელმისაწვდომი: 07.05.2019, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304

24. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხელმისაწვდომი: 05.07.2019, http://www.moa.gov.ge/

25. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

26. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხელმისაწვდომი: 07.05.2019, https://www.mof.ge/

27. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხელმისაწვდომი: 05.07.2019, http://www.moa.gov.ge/

28. Invest in Batumi, ხელმისაწვდომი: 05.07.2019, https://investinbatumi.ge/home/2

29. ჩატარებული კვლევის შედეგები, ხელმისაწვდომი 07.07.2019
https://docs.google.com/forms/d/1IeeQoLOr0RPP_Q4V5NzCXFkZzJhq8_31q53kub6rFEc/edit#responses